საცხოვრებელი უბნის ტრანსფორმაცია ვაჟა-ფშაველას გამზირზე

ელენე ბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე რამიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ბერიძე

07.02.2023

აბსტრაქტი

2022 წლის ბოლოს მილიონობით ადამიანს უწევს კვლავ "ხრუშჩოვკების" ტიპის საცხოვრებელ სახლებში ცხოვრება, როგორც თბილისში, ასევე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ქალაქებში. მე-20 საუკუნის საბჭოთა პერიოდის ქართული, კერძოდ კი თბილისური მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების იერსახე ხშირად იცვლებოდა და განიცდიდა ტრანსფორმაციას. ეს ცვლილებები პირდაპირპროპორციული იყო ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

სხვადასხვა ეპოქაში აშენებულ შენობებს სხვადასხვა პასუხისმგებლობები ეკისრებათ. "ხრუშჩოვკა" არის საცხოვრებელის ისეთი ტიპი, რომელიც საბინაო დეფიციტის პრობლემის გადასაჭრელად შეიქმნა."ხრუშჩოვკა" ჩვენი მეხსიერების ნაწილია. ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც არასდროს უცხოვრია ასეთ ბინაში. ეს საცხოვრებლები მრავალფენიანი კონსტრუქციაა, რომელშიც აწმყო, წარსული და მომავალი განუყოფლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ სტრუქტურას ახლაც არასრული ფორმა აქვს და დროსთან ერთად მუდმივად იცვლება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი.

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, საცხოვრებელი რაიონეის, მასივები და კვარტლები საჭიროებენ სახეცვლილებას და ტრანსფორმაციას. ეს სახეცვლილება განპირობებულია იმით, რომ მსგავსი რაიონები ხასიათდება დამრთგუნველი ერთფეროვნებით და გარკვეულწილდად ასოცირდება საბჭოთა კავშირის მძიმე წარსულთან. არქიტექტურაში მტკივნეულ და ამავე დროს მეტად აქტუალურად წარმოჩნდება ტიპობრივი საცხოვრებელი სახლების ფასადების აუცილებელი განახლების, რევიტალიზაციის საკითხი. დროსთან ერთად ფასადის შეცვლის საჭიროება უფრო და უფრო იმატებს ფაქტიურად გახდა არქიტექტურის ახალი

მიმდინარეობა. ამ პროცესში უამრავი არქიტეტურული კომპანიები არიან ჩართულნი. ეს პროცესი მეტად მტკივნეული გახდა თბილისისათვის.

სამაგისტრო ნაშრომი ითვალისწინებს ვაჟა-ფშაველას გამზირის საცხოვრებელი უბნის ტრასნფორმაციას ფასადების ცვლილების ხარჯზე და არა მარტო. კვლევით ნაწლში აქცენტები გაკეთებულია ისტორიული ფაქტების მიმოხილვაზე, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს ის შედეგი, რაც ამღამად გვაქვს. ნაშრომის მიზანია უკეთესი საცხოვებელი გარემოს შექმნა ძველ,მოსაწყენ და დამრთგუნველ გარემოში.

სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია ქმნის ეგრეთწოდებულ ბუფერულ ზონას ძველ შენობასა და მის შემოგარენს შორის. მიშენების პროტოტიპია აივნები და ლოჯიები, ეს ის სივრცეებია რომელიც შენობის გარე ელემენტებია, მაგრამ ეკუთვნის ბინის ინტერიერს.

თანამედროვე რეალობა სხვა მოთხოვნებს უყენებს ადამინაებს. მსგავსი ტიპის საცხოვრებელ სახლებში არ არის სივრცეები, სადაც ადამიანები საკუთარ მყუდრო გარემოს შექმნიან, ან დაისვენებენ დამღლელი დღის ბოლოს.

საცხოვრებლების ტრანსფორმაცია სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ მოხდეს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა.